საკრებულოს წევრის საქმიანობის
ყოველკვარტალური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით მახარაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო

კომისიის (კომისიების) წევრობა: საფინანსო და ეკონომიკური კომისია, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული

საანგარიშგებო პერიოდი: 2023წლის 1 იანვარი - 2023 წლის 31 მარტი ჩათვლით

განხორციელებული საქმიანობები:

1. *საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი*

   საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოწვეული და ჩატარებული იქნა სამი საკრებულოს სხდომა, აღნიშნულ სხდომებში იგულისხმება, როგორც მორიგი ასევე რიგგარეშე საკრებულოს სხდომები, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და კომისიის თავმჯდომარის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიღებული იქნა საკრებულოს ყველა სხდომაში მონაწილეობა, რაც დადასტურებულია საკრებულოს წევრის მიერ სხდომაზე დასწრების შესახებ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელმოწერით.

2. *საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა*

   საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში საკრებულოს მიერ განხილული იქნა 28 (ოცდარვა) სამართლებრივი აქტების პროექტები.

3. *საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა*

   საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში, იყო რიგი საკითხებისა, რომელსაც როგორც კომისიის თავმჯდომარემ და როგორც საკრებულოს რიგითმა დეპუტატმა არ დავუჭირე მხარი, ესენია გარკვეული ინიციატივები და აღმასრულებელი ორგანოს მერიის მიერ განსახილველად შემოტანილი საკითხები, რომლის დაყენებაც მოხდა კონკრეტულ სხდომებზე, დღის წესრიგის შეცვლისა თუ წარმოდგენილი პროექტების

მიმართ ცვლილებებით კენჭისყრის პროცედურების განხორციელებისას, სხვა მიმართულებით ყველა საკითხი იქნა მხარდაჭერილი ჩემს მიერ, თუმცა ასეთი სახითხების გამიჯვნა და ჩამონათვალის გაკეთება არ მიმაჩნია მართებულად, დებუტატი თავისი გადაწყვეტილების მიღების დროს თავისუფალია

4. *საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა*

საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის რანგში მოწვეული და ჩატარებული იქნა 3 (სამი) კომისიის სხდომა, დეტალურად განხილული იქნა წარმოდგენილი როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ასევე ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მისი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან ასევე პროცედურული მხარე, წარმოდგენისა და განხილვის ვადები, ხოლო რაც შეეხება რეგლამენტით განსაზღვრულ ვალდებულებას საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებას, საფინანსო და ეკონომიკური კომისიის მიერ მოწვეულ სხდომებში მონაწილეობა მივიღე ორ სხდომაში.

5. *კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა*

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ უშუალო თავმჯდომარეობითა და მონაწილეობით განხილული იქნა 32 (ორმოცდახუთი) განკარგულების ან/და დადგენილების პროექტი.

6. *საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა*

საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში, იყო რიგი საკითხებისა , რომელსაც როგორც კომისიის თავმჯდომარემ და როგორც საკრებულოს რიგითმა დებუტატმა არ დავუჭირე მხარი, ძირითადად ასეთი საკითხები ეხებოდა პროექტში ამა თუ იმ ცლილების შეტანას (კორექტირებას), ეს მოიცავდა მხოლოდ პროცედურულ ნაწილს და არა ახალ რაიმე ტიპის პროექტის ინიცირებას ან ახლის წარმოდგენას, თუმცა ასეთი სახითხების გამიჯვნა და ჩამონათვალის გაკეთება არ მიმაჩნია მართებულად, დებუტატი თავისი გადაწყვეტილების მიღების დროს თავისუფალია

7. *ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები*

საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი იქნა ორი ინიციატივა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე მომზადდა სარეკომენდაციო დასკვნები მერიის შესაბამისი სამსახურისათვის დადგენილების პროექტთან მიმართებაში

8. *მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა*

საანგარიშო პერიოდშის განმავლობაში უშუალოდ განხორციელდა შეხვედრები მოსახლეობასთნ როგორც მუნიციპალირეტის საკრებულოს შენობაში, ამ პერიოდის განმავლობაში მოხერხდა 70 მოქალაქის მიღება

9. *ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა*

10. *მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები*

მოქალაქეთა მხრიდან ძირითდათ მომდინარეობს შემდეგი პრობლემატური საკითხები როგორიცაა: იმფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით საკითხები, სოციალური საკითხები, სხვადასხვა ინდივიდუალური სახითხები, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია დროის მოკლე მონაკვეთში უშუალო ჩარევითა და ძალისხმევით

11. *სხვა განხორციელებული საქმიანობები*

შედეგი, ეფექტი:

შედეგი და ეფექტი განისაზღვრა კონკრეტული მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური დახმარებების აღმოჩენის კუთხით, ასევე აღმასრულებელ რგოლთან უშუალო კომუნიკაციის გზით მიმდინარეობს რიგი პრობლემატური საკითხების განხილვა გადაწყვეტა

განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

საკრებულოს წევრის კანონმდებლობით მონიჭებული ფარგლებში მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე, ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხების დაყენების გზით.